

პირველადი ჯანდაცვის პერსონალის (პედიატრების) მიერ ბავშვთა
ძალადობის შემთხვევების ამოცნობისა და რეფერირების აღსრულების
ხარისხის შეფასება

ხატია ბალახაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, MSW, PH

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია ბალახაძე

თარიღი: 27.06.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება პირველადი ჯანდაცვის პერსონალის (კონკრეტულად პედიატრების) მიერ ბავშვთა ძალადობის შემთხვევების ამოცნობისა და რეფერირების აღსრულების ხარისხის შეფასებას.

ნაშრომში განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით სამედიცინო პერსონალის (პედიატრების) ცოდნა და გამოცდილება; სამედიცინო პერსონალის (პედიატრების) დამოკიდებულება/შეხედულებები ზოგადად ბავშვის აღზრდის ძალადობრივ მეთოდებზე; პედიატრების კომპეტენტურობის დონე ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებასა და რეფერირებაში.

ზემოთ ხსენებული მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კონკრეტულად პირისპირ ინტერვიუ. კვლევის შედეგები ასახავს პირველადი ჯანდაცვის პერსონალის (პედიატრების) უარყოფით დამოკიდებულებას ბავშვთა მიმართ ძალადობრივი ქმედების მიმართ, თუმცა პედიატრთა ცოდნა ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებასა და მის რეფერირებაში კვლევის მიხედვით დაბალია.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები პედიატრთა თეორიული და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებისთვის. საჭიროა ბავშვთა

მიმართ ძალადობის იდენტიფიკაციის და რეფერირების საკითხებში პირველადი ჯანდაცვის პერსონალის (პედიატრების) პროფესიული გადამზადება.

Abstract

The purpose of the present thesis is to evaluate quality of child abuse identification and referral process implemented by the primary health care personnel (namely: Pediatricians).

The following issues are discussed in the thesis: knowledge and skills of the Pediatricians on child abuse; views/attitudes of medical pediatricians towards the types of child abuse in child care; level of their competency in identification and referral of child abuse cases.

Qualitative research, namely the personal interview, was used as a methodology to achieve the above stated purpose. As a result, negative attitude of primary health care personnel (Pediatricians) towards the child abuse actions is revealed, though based on the research results their (Pediatricians) awareness on child abuse identification and referral is low.

The recommendations for the improvement of theoretical and practical skills of the primary health care personnel (Pediatrician) are given in the final part of the thesis. It is necessary to deliver professional trainings on the field of child abuse identification and referral for them.

მადლობა

„პირველადი ჯანდაცვის პერსონალის (პედიატრების) მიერ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ამოცნობისა და მათი რეფერირების შესახებ კვლევა“ განსაზღვრავს პედიატრთა კომპეტენციასა და მათ როლს ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით, ამიტომ მნიშვნელოვანია რეალური სურათის ასახვა. მინდა მადლიერება გამოვხატო რესპოდენტების, რომლთაც ხელი შეუწყეს კვლევის განხორციელებას და მონაცემების შეგროვებას. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კვლევის ხელმძღვანელს დახმარებისთვის.